ხელშრულება № 03–06/59
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ბათუმი 17 ოქტომბერი 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ბათუმის № 6 საჯარო სკოლა, მის: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. № 5, ტელ: 243051, წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ ზაქარაძის სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“) და მეორეს მხრივ ფ/პ **ბადრი მახარაძე** , მისამართი ხელვაჩაური, სოფ.ახალისოფელი, პ/ნ 61006061321, საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“, კოდი TBCBGE22: ა/ა GE91TB7000634365100014(შემდგომში წოდებული „შემსრულებლად“) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სკოლის სკოლის შენობის ლოკალური და კოსმეტიკური სამღებრო სამუშაოებები-244 კვ.მ (CPV კოდი: 45442100) (შემდგომში „მომსახურება“), ხოლო შემსყიდველი იღებს აღნიშნულ მომსახურებას და ვალდებულია დროულად, ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადაიხადოს მისი საფასური.

1.2 შესყიდვის ობიექტის სახეობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფორმა №3-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადები,

2.1ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **2019 წლის 30 ნომბრამდე.**

2.2 სამუშაოების შესრულების ვადა- **2019 წლის 01 ნოემბრამდე.**

3. მხარეთა ვალდებულებები:

3.1 შემსრულებლის ვალდებულებები:

3.1.1 შემსრულებლის ვალდებულება მომსახურების გაწევაზე ითვლება შესრულებულად გაწეული მომსახურების შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებასთან ერთად, შემსრულებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ყველა შესაბამისის დოკუმენტი.

3.1.2თუკი მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, შემსრულებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი ან შეცვალოს იგი სხვა მომსახურებით საკუთარი ხარჯით.

4. შემსყიდველის ვალდებულებები:

4.1შემსყიდველი ვალდებულია მომსახურების სრულყოფილად გაწევის შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

4.2მომსახურების გაწევის შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია შეამოწმოს შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისობა ამ ხელშეკრულებით სეტანხმებულ მომსახურებასთან.

4.3შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს მიღებული მომსახურების ღირებულება.

11 ხელშეკრულების ღირებულება.

5.1ხელშეკრულების ჯამური ფასი შეადგენს სულ **439.20 (ოთხას ოცდაცხრამეტი ლარი და 20 თეთრი).** ერთი კვ.მ სამღებრო სამუშაოების ღირებულება-1.80 ლარი,

5.2 ხელშეკრულების ჯამური ფასი მოიცავს საშემოსავლო გადასახადს, რომელსაც გადაიხდის შემსყიდველი.

12 ანგარიშსწორების წესი

6.1მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება მომსახურების დასრულების შემდგომ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.2 მომსახურების საფასურის გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშწორების წესით.

a. გადახდა განხორციელდება ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

7. ხელშეკრულების ინსპექტირება

7.1 შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

7.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება ევალება სკოლის სამეურნეო ნაწილის გამგე გენო ხუხუნაიშვილს.

8. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის საგანი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც შემსყიდველის მიერ უფლებამოსილი პირები ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას.

8.2 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სკოლის სამეურნეო ნაწილის გამგე გენო ხუხუნაიშვილს.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლა აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

9.2 შემსყიდველი უფლეამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებლისათვის ვალდებულების სესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ, თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში შემსრულებელს არ შუძლია საქონლის სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

ბ) შემსრულებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.1 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს შემსრულებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10 მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის შემსრულებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა საქონლის ღირებულების ოდენობით.

10.1ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსრულებელს ეკისრება საქონლის ღირებულების 0,1 %-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.2შემსყიდველს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობით, არაჯეროვანი შესრულებით ან ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

10.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულების ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება საქონლის ღირებულების 0,1 %-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11 ფორს-მაჟორი

11.1 მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით>

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეტრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა.).

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

12 ხელშეკრულების პირობიების გადასინჯვის წესი

12.1 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასების გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ.

12.2 ამ ხელშეკრულების 11.1 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

12.3 გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.

12.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, თუ ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ფასის გაზრდას ან შემსყიდველთათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესებას, გარდა ამ ხელშეკრულების 11.1, და 11.3 პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

13 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

13.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

13.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვლდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

13.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ახალი ხელშეკრულების სახით მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

14.2 იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

15 დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

16 დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი რჩება შემსყიდველს, ერთი-შემსრულებელს).

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	შემსრულებელი
სსიპ ბათუმის № 6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა	ფ/პ ბადრი მახარაძე
ს/ნ 245428933	პ/ნ 61006061321
სს "ლიბერთი ბანკი"	სს „თიბისი ბანკი"
LBRTGE22	TBCBGE22
ა/ა GE57LB0121165801639000	ა/ა GE91TB7000634365100014
მის.:ქ.ბათუმი, ფიროსმანის ქ. № 5	ხელვაჩაური, სოფ.
ახალოსოფელი	
_____/ზ.ზაქარაძე/	_____/ბ.მახარაძე/

№	ს ა მ უ შ ა ო თ ა დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	განზ.	სულ	ხელფასი	
				ერთ. ფასი	სულ
1	2	3	4	7	8
1	სკოლის მე-2 სართულზე დერეფნის სამღებრო სამუშაოებები	კვ.მ	244.00	1.80	439..20
	სულ:				439.20

(ოთხას ოცდაცხრამეტი ლარი და 20 თეთრი)
ხელწერა

ბადრი მახარაძე